

მანანა ტუსკია

ქართული სიტყვაწარმოებითი მოდელები ლაშა გახარიას პოეტურ კრებულში „წაშლილი ღამე“

მწერლის ენისა და სტილურ თავისებურებათა კვლევის ძირითადი მეთოდები ჩამოაყალიბა ბესარიონ ჯორბენაძემ მონოგრაფიაში „ბალავარი მწერლობისა“ (1987): „ტექსტის ენობრივი ანალიზი აუცილებელ პირობად ვარაუდობს ორი მომენტის გარკვევას:

ა) რას აძლევს მწერალი ენას, ანუ როგორ და რით ამდიდრებს იგი ენას;

ბ) რას აძლევს ენა მწერალს [ჯორბენაძე 1987: 25].

კითხვას – რას აძლევს ენა მწერალს – ამგვარად უნდა ვუპასუხოთ: როგორი სიტყვაწარმოებითი მოდელები აქვს შემუშავებული ენას, როგორია ზმნური სიტყვათშემოქმედებითი ყალიბები და სხვ.

ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოსაქმნელად ქართულ ენას სამი მოდელი აქვს:

1. სახელისაგან სახელურ ერთეულთა წარმოქმნა;
2. ზმნისაგან სახელის წარმოქმნა (საწყისი და მიმდებარე);
3. სახელისაგან ზმნის წარმოქმნა (ნასახელარი ზმნები).

„მწერალი ვერსად წაუვა ენის შინაგან კანონზომიერებებს, იგი მხოლოდ იყენებს ენის ამ შესაძლებლობებს... მწერალი პირველად მომჩენია ამ შესაძლებლობისა და არა გამომგონებელი, მწერალი იძლევა იმპულსს ენის შესაძლებლობათა ასამოქმედებლად“ [ჯორბენაძე 1987: 25].

მწერლის ენის მკვლევარმა უნდა წარმოაჩინოს, რატომ აქვს გამოყენებული ავტორს ესა თუ ის ენობრივი ფორმა, რამდენად აღწევს დასახულ მიზანს და რას სძენს ამით მშობლიურ ენას.

„წაშლილი ღამის“ რედაქტორი ლ. ნაროუშვილი კრებულის წინასიტყვაობაში გამოკვეთს ლექსების მთავარ ღირსებებს: „...ახალი სიტყვების წარმოქმნა; სანდო და ნაფერები სტრიქონები... პოეტური ლექსიკა... ყოველივე ეს წარმოდგენილ ლექსებს გამორჩეულად და ორნამენტულად წარმოაჩენს“.

ზემოთქმულის დასტურია ლექსი „საბაქართული“.

ს ა ბ ა ქ ა რ თ უ ლ ი

(შვილიშვილს – საბა გახარიას)

ეს სიტყვა გულში აყვავდა, ვით გულისაბას ყვავილი,
მერე ხელებში აბალდა – გულითვე ამოყვანილი.
ამირანისძედ ვიოცე, რომ ჩავამთვარდი თვალებში,
ავდექ და, დედიშობილა, გავფუთნე ცის ფართალებში;
ირმის რძე ჩამოვუწველე, არც ხოხბის დამიკვლია და
ჯავრისქვაც გავაკბეჩიე, როგორც კი დაკბილიანდა!
ღვთიშობელს მოვანათლიე – მცხეთას ნადუდი მირონით,
ფასკუნჯის ფრთებით ვუჭალე ლაქვარდთა სანაპირონი;
უსუპის წარბი ვუმშვილდე, ვამშიე ფარ-ხმლის ხმარება,
დევეს რომ უმხარა, გენახათ, იახსრის ახარხარება!..
რთველი ვართველე, რა რთველი – ხართვალა, მტევნებგიდელა,
ტანთ თუთარჩელა ვურჩიე, ღამე გავხადე – დინდგელა;
სამეფო კვართი ვუკვართე, კვერთხიც ვუკურთხე, ისეთი...
მთლა შიშით გადაბაბანდა უკურთხი სამიზგიეთეთი!..
ორბის ფრთით შემოვუთარგე – ნიკოფსით დარუბანდამდე...
„დედაენიდან“ ამოვსხნი ანბანსისხამა იები,
ხან სული მიუნიავა, ხან – წამწამ-ფარფალიები;
„სიტყვის კონაც“ რომ გავშალე – ნეტაი, თავად გეხილათ,
ვით ალაღდა და აბაღდა – მაღლარ სიტყვათა ხეხილად!
ფარშევანგის ფრთა მოვართვი, ვით ვაკადრებდი ბატისას,
მაფშალიამაც ურშვინა, ჭირიმე იმ ნისკარტისა.
გულის გრაალით დავლოცე: –
მტერიმც გეხილოთ ძლეული,
ღვთისენად ამოგემხილოს ის ფარულზოსიმეული! –
აწ, მართლა უნდა იმეფოს – ვეფხისტყავშემოკვართულმა,
დედოფალსიტყვა მოჰგვარეთ, რომ ძეც შვას საბაქართულმა!

* სიტყვა „საბაქართული“ სხვა ლექსში ქართული სიტყვის დიდი მოამაგის სულხან-საბა ორბელიანისადმი დიდი პატივისცემის გამომხატველია და ნიშნავს: „საბას ღირს ქართულს“ (გ. გოგოლაშვილი).

ლექსში მთელი სისრულითაა წარმოჩენილი ქართული სალიტერატურო ენის მდიდარი სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობები, ქართული ლექსის ხალხურ და ლიტერატურულ თავისებურებათა გაცნობიერებითაა დამშვენებული ჟღერადი, რიტმული სტრიქონები. გათვალისწინებულია ქრისტიანული რიტუალური რეალიებიც, ქართული ზღაპრის რაინდული სულისკვეთებაც, ქართველი ერის ისტორიაც და ქართული ენის დამამშვენებელი საგანძური: „სიტყვის კონა“, „დედაენა“ და, რაც მთავარია, იმედი იმისა, რომ იონე-ზოსიმეს „ქება და დიდება ქართულისა ენისას“ დაშიფრული საიდუმლო აუცილებლად „ამოემხილება“ ერს და ეს შეეძლება „ვეფხისტყავემეოკვართულ“ ჭაბუკს – პაპის დიდ იმედს*.

1. სახელური სიტყვაწარმოება

ახალ ლექსიკურ ერთეულთა შესაქმნელად აფიქსური სიტყვაწარმოება ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად ითვლება.

განსახილველ კრებულში სიტყვაწარმოებითი მოდელების თითქმის ყველა სახეობაა წარმოდგენილი, რომელთა უმრავლესი ფორმა სიახლით, ემოციურობითა და ექსპრესიულობით გამოირჩევა.

ქონების აღმნიშვნელი სახელები

-**იან**: ა) მ ა რ ტ ი ვ ფ უ ძ ე ზ ე დ ა რ თ უ ლ ი :

„ყველა მწარე სვეზე უმწარესი

იყო პოეზია, **სგ-იან-ი!**

ჯვარცმა პოემაა **ლურსმნ-იან-ი,**

ნარ-ეკლ-იან-ი და ქილაჯი“ (გვ. 330).

„ისევ ნისია დღე – **ნისლ-იან-ი**

თუ **ჰორფლ-იან-ი** ჰორვილის ზეცა,

ისე სათნო და **ალერს-იან-ი**

დედა რომ საბანს შემოგიკეცავს“ (გვ. 276).

* ლექსში გამოვლენილ საინტერესო ენობრივ ერთეულებს გავანალიზებთ ნაშრომის შესაბამის თავებში.

„მაგრამ... არც ოდეს წასულა –
ასრე **მიწ-იან – ზღვ-იან-ად**“ (გვ. 275).

„სულს მოენატრა ლექსის იარა,
სიტყვა **ფხ-იან-ი** და **ხორკლ-იან-ი**“ (გვ. 234).

ბ) რ თ უ ლ ფ უ ძ ე ზ ე დ ა რ თ უ ლ ი :

„უამულრანიდან რომ აფენს ნათელს
და **დედისრმ-იან** ანაყრებს ქართველს“ (გვ. 4).

„**ომეინ-იან-ი** მათი ვაჟები
კლდემტირალასთან ერთ ფარზე წვანან“ (გვ. 23).

„ჩახე, ჩაბალხეთს, **მთვარეგვ-იან-მა**
ყამარს საბედო დაუდო თეფში“ (გვ. 63).

„წავიდეთ: **უქონჩემოდნ-იან-ად**,
უფასოდაა ბოლო ბილეთი!“ (გვ. 136).

„მეხბორე გოგოვ, შენი ხბოები
ბინდს მიიძოვენ **წვიმადრ-იან**“ (გვ. 296).

-**იან//ან** სუფიქსი, როგორც წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი ს აღმნიშვნე-
ლი, გვარსახელად ძალიან გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართვე-
ლოში: თევდორა-**ან-ი**... -**ან** ← -**იან** ფორმის დასუსტების შედეგად,
რაც ფუძისეული -**ა** ხმოვნის ზემოქმედებითაა გამოწვეული [შანიძე
1973: 123]. ნარიანი მრავლობითის ფორმით კრებითობა აღინიშნება,
თანინი მრავლობითის ფორმით კი ინდივიდია დასახელებული
[ტუსკია 2004: 41].

„**ასკინკილ-ა-ან-თ** ასკილი
ძეძვის ღობესთან ღონდება“ (გვ. 24).

მაზედსართავებელი -**ა** სუფიქსით **კისერშვეტელ-ა** ფუძეში
დაკონკრეტებულია ძირეულ სიტყვაში წარმოჩენილი მსგავსება-
თვისება: კისერ + შვეტ-ელ-ა:

„და წეროსავით **კისერშვეტელ-ა**
ოწინარს ჭიდან ამოაქვს წყალი“ (გვ. 43).

-**ოვან**: -**ოვან** სუფიქსი, ძველ ქართულში ქონების სახელთა
ყველაზე აქტიური მაწარმოებელი, ზოგჯერ თვისება-მსგავსებაზეც
მიუთითებს:

„გარწყულბდნენ ქალწულები მილოსის
და მერწყული – ბარნას-სანაპიროსი,
შემოსილო **ნისლ-ოვან-ი** მითოსით“ (გვ. 102).

-**იერ** სუფიქსი ძველ ქართულში ქონების სახელთა მაწარმოებელი იყო. ამ ფუნქციისაა იგი **სვებედნ-იერ**-ში:

„ხომ მხნედა მყავხარ...ქუდბედასავით

სვებედნ-იერ-ი?!“ (გვ. 51).

წარმომავლობა-სადაურობას გამოხატავს **-იერ** სუფიქსი და-მოწმებულ მაგალითებში:

„გრანელმა... გადაალია სული **ც-იერ-ებ-ს**“ (გვ. 46).

„იმ ვაჟას სულის **სულნაშ-იერ-ი**,

გულისკოვზით რომ აცაზეპურე!“ (გვ. 32).

„**ქვემიწ-იერ-ო** ჩემო სახადო,

კვლავშეხვედრამდე , – „ზეპანთეონში!“ (გვ. 326).

უქონლობის აღმნიშვნელი სახელები

უ-ო: „გახდილ საფლავიდან მამა ამოგხედავს –

უ-თუთუნ-ობ-ისგან თითებმოწეული“ (გვ. 42).

„**უ-ხსენ-ო-დ** ჭკნება კვირტი და კერტი“ (გვ. 60).

„გახსოვს **უ-ხომლ-ო** სალამო ხოვლის

და დაუთვლელი ვარსკვლავთა ხენდრო“ (გვ. 105).

„მაგრამ კი ნულარ დაემურები

თვალებს – **უ-ცრემლ-ო-ს** და **უ-კაეშნ-ო-ს**“ (გვ. 166).

„რა **უ-ხედ-თეფშ-ო-დ** გადაგიარა ტალღამ...

დანაშავ-უნაშაულის“ (გვ. 310).

უ-ურ: „**მადლ-უ-მად-ურ-ად** გამოხრა ძვალი

მადლმა და კუდზე გაწვა ზარმაცად“ (გვ. 269).

უ-არ(უ-ალ):

„მღვრიე ღრუბელი ჩადასავლეთდა

მო-უ-წვიმ-რ-ად და თეთრის ჯვრითა“ (გვ. 202).

„არც ღამეა **უ-თევ-არ-ი** და მისტერია...“ (გვ. 224).

„რომ შენი ძვლების ქვიშაც ეყაროს

ამ **და-უ-მცხრ-ალ-ი** მდინარის ფსკერზე“ (გვ. 234).

„უცებ, ჯანლი რამ მომერტყა –

გა-უ-მზირ-ალ-ი თვალითა“ (გვ. 120).

უ-: „ისე **უ-ბირ-ი** და უწყალმანკო
სული **უ-კურთხ-ის** მესაკუთრეა“ (გვ. 325).

წარმომავლობის აღმნიშვნელი სახელები

-ელ: „დულს და გადმოდულს ვით ზურზული
ყვითელ **სვეთ-ელ-ის**“ (გვ. 50).
„არც **ყანწ-ელ-ია**, არც **გრაალ-ელ-ი**:
იცის, რომ ლექსით სამთაწმინდეა“ (გვ. 65).

-ეულ: „ღვთისენად ამოგემხილოს
ის **ფარულზოსიმ-ეულ-ი**“ (გვ.: 16).
„თქვა და... დამემაც ჩამოშალა **ლეჩაქ-ეულ-ი**“ (გვ. 82).
-ეულ – კუთვნილება-წარმომავლობის აღმნიშვნელია „ფა-
რულზოსიმეულ“ ფორმაში, „ლეჩაქეულში“ კი სიმრავლე-კრებიითო-
ბის ფუნქციისაა.

აბსტრაქტულობის აღმნიშვნელი სახელები

ამ ჯგუფის სახელთაგან აღსანიშნავია:
სი-ე მაწარმოებლიანი: „ისეთი თალხი **სი-თავთუხ-ე-ა...**
ძლივს მიკავია სული ნისლივით“ (გვ. 244) და
-ობა-თი ნაწარმოები რთული სახელი:
„ხელთათმნიან ლექსს სცნობ რვევრანსით
და **უბირველეს-ყოვლისელ-ობ-ით**“ (გვ. 303).

დანიშნულების აღმნიშვნელი სახელები

სა-ო: „და მენანება სხვის თითოზე, რიწა –
გაწბილებული **სა-სძლ-ო** ბეჭედი“ (გვ. 59).
„სასძლო“ ფორმა ამ კონტექსტში დიდი ტკივილისა და მოუ-
ლოდნელობის ეფექტით გამოირჩევა, ლექსში „გელათი“ კი „სასძ-
ლო“ თოვლის სისპეტაკეს აღნიშნავს:
„ისე უბიწო თოვლი ჰფენია –
დედისიმედის **სასძლო** მანდილი...“ (გვ. 253).

სა-ე: „იცის, რომ ლექსით – **სა-მთაწმინდ-ე-ა**
და დებოშებით – გრანი გრანელი“ (გვ. 65).
„**სა-სასთუმლ-ე** ლექსებს გწერდი,
განა, **სა-გიტარუბ-ეს**“ (გვ. 153).

წინა ვითარების აღმნიშვნელი სახელები

ნა-არ(ნა-ალ):

„...შვილზე უმცროსი მამა – ლექსებიანად **ნა-ტაიგ-არ-ი**“
(გვ. 117).

„და ნიშა შუნის თვალებით მსინჯავს
ცოლი – ქალაქელ **ნა-მეფელები-არ-ის**“ (გვ. 117).

„თოვლი მოდევს ოლეანდრებს ლანდებს –

ნა-თანდათან-არ-ს“ (გვ. 279).

„ნიანგის“ ჩანგალს წამოაგო **ნა-ქილიკ-არ-ი**“ (გვ. 80).

„ბინდის ნარგილით **ნა-თრიაქ-ალ-ი**

ნიავი ფარდას ითრევს – საკაბედ“ (გვ. 134).

ნა-ეგ:

„ღვინოს ლხინი სვამს და ქეიფს - ღვინო!

ორთავეს: ლუდი – **ნა-ბახუს-ეგ-ი**...“ (გვ. 265).

„ასე რომ თან სდევს ქრისტეს **ნა-თანაფ-ეგ-ი** სული“ (გვ. 209).

ხელობის, პროფესიის აღმნიშვნელი სახელები

მე-ე:

„თავად დაგიდგები ლექსის **მე-ამინდ-ე-დ**,
ბატონო გალაკტიონ!“ (გვ. 16).

„არც აშული ვარ, – არც **მე-ლაღობ-ე**...

მიმძიმს სალონთა კარის შეღება“ (გვ. 93).

„მოაჯახიერებს ჯავრის ყავარჯენს –

ის რჯულარჯალი – **მე-ნარსაწოლ-ე**“ (გვ. 106).

„**მე-ხბორ-ე** გოგოვ, შენი ხბოები

ბინდს მიიძოვენ წვიმადრიან“ (გვ. 296).

„უმზერს მზესუმზირას **მე-ხვალ-მე-ზეგი-ე**“ (გვ. 176).

„სული უკურთხის **მე-საკურთხ-ე-ა**“ (გვ. 325).

„**მე-ზვრ-ე-მე-ხმლ-ე-ა**, მღერალ–**მე-ლექს-ე**

ვეფხ და ლომშუა რომ შეწმართულა!“ (გვ. 254).

„არც **მე-ურმ-ის** ღიღინი და არცა

მე-ჩალანდრ-ის მოძახილი შორი“ (გვ. 227).

გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი -ეთ

სამეცნიერო ლიტერატურაში **-ეთ** სუფიქსი გეოგრაფიულ სახელთა ძირითად მაწარმოებლად ითვლება. არნ. ჩიქობავა მართებულად მიიჩნევს ნ. მარის მოსაზრებას, რომ „-ეთ სუფიქსი რისამე ან ვისამე მრავლად მყოფობის ადგილს აღნიშნავს“ [ჩიქობავა 1926: 307].

-ეთ მრავლობითობის **-თ** (← **ეთ**) აფიქსს უკავშირდება [ჯანაშია 1959: 151-152].

-ეთ სუფიქსი დაერთვის:

1. ტომობრივ და ეთნიკურ სახელებს: აფხაზ-ეთ-ი, კოლხ-ეთ-ი, ჯავახ-ეთ-ი...

2. აწარმოებს ქვეყნის მხარეთა სახელებს: აღმოსავლ-ეთ-ი [შანიძე 1973: 140].

3. საზოგადო სახელებზე დართვით აღნიშნავს ადგილს: ხმელ-ეთ-ი, ზღვისპირ-ეთ-ი...

4. აწარმოებს ტერმინებს: შიგნ-ეთ-ი (გეოლ.) შიგნითა, ქერქის ქვეშა ნაწილი, [ქეგლი VII], შორის-ეთ-ი [ქეგლი VII].

5. ამავე სუფიქსის დართვით არის შექმნილი: ვარდ-ეთ-ი, ვარსკვლავ-ეთ-ი, უკუნ-ეთ-ი...

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ლ. გახარიას პოეზიაში **-ეთ** სუფიქსიან ფორმათა სიმრავლე:

„მილოს-ეთ-ის ვენერ-ეთ-ი,

მადონ-ეთ-ი სიქსტ-ეთ-ის,

ქიმერ-ეთ-ეფემერ-ეთ-ი,

ფერი-ეთ-ი სიზმარ-ეთ-ს...

ჯოკონდ-ეთ-საც დაგავიწყებს...“ (გვ. 322).

„თოვს **თრიალ-ეთ-ად** და **შრიალ-ეთ-ად**“ (გვ. 106).

„და წუთისოფელს შევრჩი – ცაცია

და **შურ-ეთ-ს** ასრე მივეშურები“ (გვ. 86).

„არის ლექსი – ეფერები და ისეთიც ისე, რა,

ქარის ექს – ეფემერებით... **დაის-ეთ-ის** ის მზერა“ (გვ. 242).

„ვინმლო, უფრო ღვიძლია, ვითარცა ხევის **ნისლ-ეთ-ი**“
(გვ. 207).

„და **უჟმურ-ეთ-ში** გადაჟვეპილი
ენანებოდა „ზარში“ „ლილესა“ (გვ. 186).
„ეჭვიანი ფარდებით... **ფერი-ეთ-ის** სიზმრებო“ (გვ. 185).
„ცა განილოს ოღონდ... **მღვრი-ეთ-იდან**
ამოაღწიოს და გადაიამინდოს“ (გვ. 173).
„და ქიმერ-არქაულ **არქივ-სიზმრ-ეთ-იდან**
ზაფრავს ზარატუსტრას...
გრძნეულ ბად-ჰამაკით არწევს **მით-ეთ-იდან**“ (გვ. 169).
„შორობს **შუმერ-ეთ-ებ-ს ხეთა-ასურ-ეთ-ებ-ს**“ (გვ. 172).
„ეგაბრიელება თბილი მისტრალეზი
და ასტრონომიულ **მისტერი-ეთ-იდან**“ (გვ. 173).
„კლდოვან **აკლდამ-ეთ-ით** – ავად ულამუნებს
ღამე ფრთა-დემონის“ (გვ. 168).

სა-ეთ: „მთლა შიშით გადაბაზანდა უკურთხი **სა-მიზგიოთ-ეთ-ი**“
(გვ. 15).

ზემოჩამოთვლილთაგან განსაკუთრებით ხელოვნურ ფორმე-
ბად უნდა ჩაითვალოს: შრიალეთი, შურეთი, დაისეთი, ნისლეთი,
უჟმურეთი, ფერიეთი, მღვრიეთი, მითეთი, მისტერიეთი. „ბოლო-
ხანს გარკვეულ ტენდენციად გამოიკვეთა ხელოვნური სიტყვაწარ-
მოება არქაული -**ეთ** სუფიქსით: უდაბნოეთი, ირგვლივეთი, ზმანე-
თი, თოვლეთი, ცისიერეთი, მიღმიეთი. მათი უმეტესობა მეტისმე-
ტად არაზუნებრივია“ [არაბული 2013: 286].

კნინობითი სახელები

-**უკ-ა:** „მორბის **წნელ-უკ-ა** გოგო,
მოსდევს **ბიჭ-უკ-ა** წვიმა“ (გვ. 293).

2. ნაზმნარი სახელები

(საწყისი და მიმდებარეობა)

საწყისი – ზმნისაგან მიღებული არსებითი სახელი – ზმნის
მსგავსად გამოხატავს მოქმედებასა და მდგომარეობას, მაგრამ ვერ

გამოხატავს ზმნის ძირითად კატეგორიებს. საწყისის სახელური ნი-
შანია ბრუნვა.

კრებულში „წაშლილი ღამე“ საწყისის რამდენიმე საინტერესო
ფორმა დასტურდება:

- „ცალ კანჭზე თვლემდა ეული ყანჩა –
ტბის ერთი **ამომთქნარება** ნისლი“ (გვ. 259).
- „ჩვენთან ეშმაკსაც ვერ გაუვა **თავბატყოზა**“ (გვ. 71).
- „ცხეზე ძნელი ყოფილა, ძმაო,
ტანზე ლექსების **შემოშენება**“ (გვ. 83).
- „იხსენებს: ხსოვნით გადაშლილ თარიღს
და **გზნებას – სნებას** ვნებად რო თლიდა“ (გვ. 89).
- „და ბულონის ტყეც იხდის ლაზადას –
შაშვების მჭახე **შეჭახჭახებით!**..“ (გვ. 90).
- „შენ იქ გელის **ამცხედრება**, იქ მენიშნა ალაგი...“ (გვ. 237).
- „დეეს რომ უმხარა, გენახათ, იახსრის **ახარხარება**“ (გვ. 15).

მიმღეობა – ზმნისაგან მიღებული ზედსართავი სახელი – გვა-
რის კატეგორიათა მიხედვით განიხილება.

ა) **მოქმედებითი** გვარის მიმღეობა წარმოადგენს სუბიექტის
მოქმედებას.

განსახილველ პოეტურ კრებულში რამდენიმე ფორმა იქცევს
ყურადღებას:

- „და როს სასვენელზე გარდაესვენები –
შვებასნეული და **არას-მ-ჯავრ-ებ-ელ-ი**“ (გვ. 42).
- „განდგილივით უჯექით სუფრას
საათით მაჯის **ვერ-შე-მ-ტყობ-არ-ი**“ (გვ. 49).
- „ხმელი იყო და **თვალეზ-მა-რღვ-ალ-ი**,
მისდღემოსწრება ცხენს იპარავდა“ (გვ. 268).

ბ) ვნებითი გვარის მიმღეობა სუბიექტური პირის მოქმედებას
წარმოგვიდგენს და ორ ჯგუფად იყოფა:

ა) ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღეობებში ჭარბობს **-ილ**
და **-ულ** სუფიქსით ნაწარმოები სახელები:

- ილ:** „ადლი-მადლობდით მადლსა და ქვაზე –
ტაიგის პურგით **გამო-ღვედ-ილ-ი**
და ბედის ძაფზე ეკიდეთ ასე –
ობობასავით **ჩამო-ღვენთ-ილ-ი**“ (გვ. 48).
- „რომ ხიდან ხეზე **გადა-სტვენ-ილ-ი**

ჩიტი ნიბლია შენი სულია...

...რომ პოეზია... ძუნწი მევახშის

თავნდაწყველ-ილ-ი თამასუქია...“ (გვ. 67).

„ეს ეკლესია... უფლის ლექსია –

ციტარამოქნ-ილ-ი სანთლათითებით“ (გვ. 73).

„და სველი პალმაც, **რტოდაწყენ-ილ-ი**,

მთვარის მკლავებზე ცხრებოდა წყნარად“ (გვ. 146).

„ირმის ნახტომზე მორბის ქორბუდა –

რქებზეგადაღვრ-ილ მთვარის იელით“ (გვ. 72).

„მირაბოს ხიდთან თუ კვლავ ყუდია

ის მათხოვარი – **ქუდჩაწყენ-ილ-ი**“ (გვ. 94).

„ციცას ყური აქვს ცაცა ურიას –

მატარებლიდან **გზად-ჩამო-ფეხვ-ილ-ს**“ (გვ. 108).

-ულ: „ცხენთა ნალებიდან **წამოკვესებ-ულ-ი**“ (გვ. 5).

„მალე თვალი აცრის – **გაალერსებ-ულ-ი**“ (გვ. 6).

„აწ მართლა უნდა იმეფოს –

ვეფხისტყავშემოკვართ-ულ-მა“ (გვ. 16).

„ვით დადგა მთაზე მთად – ბედისწერა –

ამთავრებ-ულ-ი ცისკენწეროთი?!“ (გვ. 17).

„ან იმ **აფრააშვებ-ულ** რომკას

რამ გადაუსვა ნისლის კარაქი“ (გვ. 22).

„**წაშხივებ-ულ-ი** ყაზახს ისარი –

სხივის – იახსრის მშვილდით ნატყორცნი!“ (გვ. 72).

„**ჭყინტადშემოჭმ-ულ** ყანებით

გაწბილებ-ულ-ი წისქვილი“ (გვ. 26).

„ქუჩაში დარჩა ქუჩა – დარჩოს

„მაკლერა ჭადრით“ **გაჭიკარტ-ულ-ი**“ (გვ. 78).

„ულრან სიჩუმეში დადის ფეხაკრეფით –

ფარულ სიხარულით **ამორფევესებ-ულ-ი!**“ (გვ. 175).

„აქ წყაროც ლხინის კრიმანჭულია –

ჩამაჭრებ-ულ-ი ამ „წინწყაროში“ (გვ. 266).

-უ-ელ: „**შე-უ-ცნობ-ელ-ი** პოეტი დადის...“ (გვ. 10).

„არის ამქვეყნად სიკვდილი ქალით –

ხელთ-უ-თხოვნ-ელ-ი თოვლის ხელებით...“ (გვ. 281).

უ-არ(უ-ალ):

„კი გაგეცინა, ძმაო, ტიციან –

მო-უ-წვიმ-არ-ო მუზის ღრუბელო...“ (გვ. 62).

„უცებ, ჯანლი რამ მომერტყა –

გა-უ-მზირ-ალ-ი თვალითა“ (გვ. 120).

„და **ომ-შე-უ-მზრ-ალ** უმიშარ დროშით

სირცხვილის ყოვლის ოფლი შეგვხოცა“ (გვ. 18).

b) მომავალი დროის ვნებითი გვარის მიმღეობები:

სა-: „საით წავიდნენ კირითხურონი,

თვალ-სა-შურონი შორად ჰპოვეს, რა?!“ (გვ. 17).

სა-ელ: „ჯანსულო... ვოძსა ვარადა!

გულში **სულ-ჩა-სა-წობ-ელ-ი**“ (გვ. 20).

3. ნასახელარი ზმნები

კრებული „წაშლილი ღამე“ ზმნურ ფორმათა სიმრავლითაა გამორჩეული. მათ შორის ჭარბადაა ნასახელარ ზმნათა მეტად საინტერესო და ზოგჯერ უჩვეულო ფორმებიც, რომლებიც, მართალია, შექმნილია ენაში არსებული სიტყვაწარმოებითი ყალიბების მიხედვით, თუმცა ხშირად მაინც მოულოდნელობის ეფექტითაა გამორჩეული.

ნასახელარი ზმნის ძირი, მთავარი კომპონენტი ზმნური ფორმის შენებისა, არის სახელი, რომელიც გაზმნავების პროცესში ცდილობს შეინარჩუნოს თავისი მნიშვნელობა. იშვიათია ზმნის ფორმა, რომელშიც სახელური ფუძის სემანტიკა სცილდება ზმნურ ფორმათა სემანტიკას, ე. ი. იშვიათია ისეთი ზმნის ფორმა, რომელშიც სახელის სემანტიკა იჩრდილება და ხდება ზმნური ფორმის მნიშვნელობის გადააზრება. ასეთ შემთხვევაში ხდება სემანტიკური ცვლილება [მუზაშვილი 1993: 40].

ნასახელარი ზმნის ფუძედ მოიაზრება ყოველგვარი სახელი: არსებითიც, ზედსართავიც, რიცხვითიც, ნაცვალსახელიც.

ნასახელარი ზმნის ფუძედ შეიძლება იყოს მარტივი სახელიც, წარმოქმნილიც და კომპოზიტიც: **ააზამბაზა, ესაფეხუროს, გაუქარ-წვიმებს...**

მაზმნავებელ ელემენტებად გვევლინება: პირის ნიშნები, ზმნისწინები, მწკრივთა მაწარმოებლები, თემის ნიშნები, ქცევის გამომხატველი აფიქსები.

ნასახელარ ზმნათა წარმოების ძირითადი მოდელები წარმოდგენილია ბესარიონ ჯორბენაძის ნაშრომში „ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში“ (1975).

მოქმედებითი გვარის ნასახელარი ზმნები იწარმოება:

ა) ა + სახელის ფუძე + სუფიქსი (თემის ნიშანი): ა-თეთრ-ებ-ს...

ბ) სახელის ფუძე + სუფიქსი (თემის ნიშანი): ბარ-ავ-ს...

ა ჯგუფის ზმნები: ათეთრებს, ალამაზებს – გარდაქცევითობას აღნიშნავენ.

ბ ჯგუფისა კი – ინსტრუმენტატივობას: ბარი-ბარავს.

ვნებითი გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოებაშიც ორი მოდელი დასტურდება:

ა) სუფიქსიანი ვნებითი მოდელით:

სახელის ფუძე + თემის ნიშანი: თეთრ-დ-ებ-ა, ცივ-დ-ებ-ა...

ბ) პრეფიქსიანი ვნებითის მოდელით:

ი/ე + სახელის ფუძე + სუფიქსი: ი-ბარ-ებ-ა, ე-ბარ-ებ-ა...

საშუალი გვარის ნასახელარი ზმნებიც ორი მოდელით იწარმოება:

ა) სახელის ფუძე + პირის ნიშანი: შურ-ს.

ბ) სახელის ფუძე + თემის ნიშნები – -ობ, -ებ, -ავ: მთავრ-ობ-ს, ი-ბიბინ-ებ-ს, შორ-ავ-ს...

მოქმედებითი გვარის ნასახელარი ზმნების წარმოება

ა) ა + სახელის ფუძე + სუფიქსი (თემის ნიშანი -ებ)

„და ზირაქი ნაზირ-ვეზირს **ა-ზე-პურ-ებ-ს**“ (გვ. 176).

„**შემო-ა-ფიცხ-ებ-ს** დარდიმანდ ცხენს და...

თვალს **შე-ა-სველ-ებ-ს** ტაძარს, ნეტარი...“ (გვ. 256).

„ბერწ მოწაზონსაც **ა-ა-ამბორ-ებ-ს**...

ა-ნიამორ-ებ-ს ამურთა სამანს“ (გვ. 257).

„**ა-ასტრალ-ებ-ს** კლიტემნესტრას

მეფე – პეფესტელი“ (გვ. 280).

„მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოებისას ინ-სტრუმენტატივის გამოსახატავად გამოიყენება... მოდელი: სახელის ფუძე + სუფიქსი (ხერხ-ავ-ს), სადაც თემის ნიშნად გვხვდება არა მხოლოდ **-ავ**, არამედ **-ებ** სუფიქსიც:

ო + სახელის ფუძე + **-ავ** თემის ნიშანი (გვ-ი-ლამპრ-ავ-ს).

უ + სახელის ფუძე + **-ავ** თემის ნიშანი (უ-ნისლ-ავ-ს).

ა + სახელის ფუძე + **-ებ** თემის ნიშანი (შე-ა-ნამქერ-ებ-ს).

ბ) სახელის ფუძე + სუფიქსი (თემის ნიშანი)

„და სანამ დალი **გა-თვალ-ავ-ს** ბეთქილს...“

უნდა ერთი დღით ამოვისვანო“ (გვ. 54).

„აივაზოვსკი ღელავს კედელზე“

და შავ მაუზერს **ვაზნ-ავ-ს** მეკობრე“ (გვ. 107).

ნასახელარ ზმნათა ეს მოდელი გავრცელებულია თანამედრო-ვე ქართულში, მაგრამ ამ ტიპის ნეოლოგიზმები იშვიათად გვხვდება [ჭიკაძე 2008: 265].

მაზმნავებელი ფუნქციით შეიძლება მოვიაზროთ სასხვისო ქცევის **უ**-პრეფიქსი მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნებში:

„უსუპის წარბი **ვ-უ-მშვილდ-ე**, ვამშიე ფარ-ხმლის ხმარება“

(გვ. 15).

„სამეფო კვართი **ვ-უ-კვართ-ე**, კვერთხიც **ვ-უ-კურთხ-ე**...“

(გვ. 15).

„ორბის ფრთით **შემო-ვ-უ-თარგ-ე**

ნიკოფსით დარუბანდამდე“ (გვ. 16).

ვნებითი გვარის ნასახელარი ზმნები

გარდაქცევითობის ფუნქციის სუფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნები საინტერესო ნეოლოგიზმებითაა წარმოდგენილი კრებულში:

„**ა-ზედაზენ-დ-ებ-ა** ცხედარი ნისლი,

ცრემლი წანამავს წამწამთ საწვეთურს“ (გვ. 256).

„ერთი და... უცებ **ა-კოც-ონ-დ-ებ-ა!**

აკორკოცდება ცად სირიუსი“ (გვ. 108).

„ოცდაცამეტის **ა-ცათ-დ-ა** ქრისტე“ (გვ. 251).

„მერმე ხელეში **ა-ბალდ-დ-ა** – გულითვე ამოყვანილი“
(გვ. 15).

„ვით **ა-ლად-დ-ა** და **ა-ბად-დ-ა**
მალლარ სიტყვათა ხეხილად“ (გვ. 16).
„**ა-წიწამურ-დ-ა** ბოლი ბერდანის“ (გვ. 255).
„**გამო-წამალ-დ-ა** აფთიაქარიც
და წნევიან დღეს უსევს წურბელებს“ (გვ. 130).
„**ამო-მანდილ-დ-ა** ნისლი ხევიდან“ (გვ. 131).

მიჩნევის ვნებიტის შინაარსის გამომხატველია:

„გრძნეულ ქნარ-ლირასთან გაალერსებული,
მათ – სამთა მნათობთა, – **ე-ოდისევს-ებ-ა...**“ (გვ. 175).

„**ე-გაბრიელ-ებ-ა** თბილი მისტრალეები“ (გვ. 173).

„თორემ დაღმართიც **მ-ე-ადმართ-ებ-ა**“ (გვ. 56).

საშუალო გვარის ნასახელარი ზმნები

საშუალო გვარის ნასახელარ ზმნათა უმრავლესობა სახელის ფუძეზე დართული **-ობ** სუფიქსიანი მოდელით იწარმოება, ზმნის-წინს არ დაირთავს რამდენიმე გამონაკლისის გარდა.

- ობ:** „**თოვლმარხულ-ობ-ს** თივას ცელიჭალა“ (გვ. 35).
„ვერ **პარნას-ობ-ს** სირინოზებს ეჭვიანი მეფისჭალა“ (გვ. 61).
„და **მდედრ-ობ-ს** ცოდვა – ანათემაში
თოვლეთი – წვიმაჩამოთარგმნილი“ (გვ. 56).
„მთვრალი ღვინის სისხლი თანობს გრაალიდან,
დილა **მოსისხარ-ობ-ს** ბეთლემგანათევი“ (გვ. 41).
„ვიდრე ვერსალი **უნივერსალ-ობ-ს**,
ვიდრე წაშლილან ქარგრაგნილები!..“ (გვ. 90).
„ლუვრის ასული **კდემ-ობ-ს** კედელთან“ (გვ. 89).
„და მიმინოთი **მწყერა-ობ-ს** ქარი“ (გვ. 97).
„მზე პიკზე **პიკენტ-ობ-ს** ვან დეიკიანად“ (გვ. 171).
„და მუზა **საფარ-ობ-ს** საპარის დაფნართ“ (გვ. 171).
„დარიჩინის რტოზე მთვარე „მონა **ლიზ-ობ-ს**“ (გვ. 174).
„ნისლთა მერინოსი **თიფთიკ-ობ-ს** თაბორზე“ (გვ. 171).
„სამ თასზე **აზმან-ობ-ს** შარავანდ-ნათლილებად“ (გვ. 169).
„ბანოვანო, თქვენს თვალეში კაემანი **ვან-ობ-ს**“

და ფარდათა ფერვალებში დარდი **სულთათან-ობ-ს**
(გვ. 279).

„ხომ **წამწამ-ობ-ენ** ნიავს იები?“ (გვ. 195).
ფუძედ თანდებულია გამოყენებული:
„მოვრალი ღვინის სისხლი **თან-ობ-ს** გრაალიდან“ (გვ. 41).
ფუძედ ზმნისართია გამოყენებული:
„ლექსიც ქალივით **აქეთ-იქეთ-ობ-ს**“ (გვ. 8).

ნასახელარი ზმნა მთელი წინადადების აზრს იტევს – მასში ექსპრესიულობითა და მთელი სიზუსტითაა წარმოჩენილი მთავარი ნიუანსი სათქმელისა [ტუსკია 2014: 154].

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ზმნისწინით ნაწარმოები ზმნები. „ნასახელარ ზმნებში ზმნისწინის ძირითადი ფუნქცია არის მაზმნავებელი... სხვა ზმნურ აფიქსებთან ერთად იგი აქტიურად მონაწილეობს სახელის გაზმნავებაში“ [მუზაშვილი 1993: 48].

მი-: „და ანდრომედე ვნების სინდრომი
მი-ი-ავდრ-ებ-ა სიყვარულისკენ...“ (გვ. 108).
„ზღვის ქაფ-ქვაფენილზე **მი-ი-ნეპტუნ-ებ-ა...**“ (გვ. 172).
„ქაფიანიძეს **მი-ა-შუმერეთ**“ (გვ. 188).

მო-: „გარეთ კი: ალბათ, ცა **მო-ი-დარ-ა...**“ (გვ. 146).
„**მო-ი-სარეცლებს** მაცდურ ინფანტას“ (გვ. 89).
„ნავებმა ბინდი **მო-ა-ბინოკლეს**“ (გვ. 109).
„**მო-ა-ნამგაღეს** ზეცა მერცხლებმა“ (გვ. 130).

გა-: „ნუთუ თორმეტი **გა-ცამეტდა**“ (გვ. 329).

გადა-: „და სურვილებიც რომ **გადა-მ-წვიმ-და-ა...**
კვლავ დაგიქუდე კმაყოფილებით“ (გვ. 132).
„და როცა რომიც **გადა-გვ-სურვილ-და-ა...**“ (გვ. 146).
„არ **გადა-ზამთრ-და-ა...**“ (გვ. 271).

შე-, შემო-:

„**შე-კვერცხისგულდა** ცილიან ცაზე მთვარე“ (გვ. 38).
„დროა ამომალდე მისჯილ სიმდაბლიდან,
შემო-ი-ნათელ-ო დაფნამდე – კანდელი“ (გვ. 42).

„**შემო-აფიცებს** დარდიმანდ ცხენს და
თვალს **შე-ასველებს** ტამარს, ნეტარი...“ (გვ. 256).

„– ისე გვშია და ისე გვწყურია...“

„**შე-გვიკვიტარე** აწი, რძალო – შინ!..“ (გვ. 266).

„ჩაინაბა და **შემო-თრთვილ-ა** კათხა მარილით“ (გვ. 81).

„**შე-არღნებია** წყარო პატეფონს“ (გვ. 2(318)).

ჩა-: „საით წავიდა, სად წაპანტალდა,
ვის **ჩა-ე-ბარტყა** ბუდე უბეში“ (გვ. 243).

წა-: „მერმე წამოდგენენ და ტაძრის შიშით
წა-წყნარდნენ უხმოდ და უსახელოდ“ (გვ. 17).

„გამოლევია ზამთარს მარაგი –

წა-კრელებია თეთრი წაღები“ (გვ. 21).

„დროა, შესძახო ამ ჯანლს – იმ ჯანყით

წა-უ-სისხამ-ო ისინდს ისარი“ (გვ. 72).

და-: „და სურვილებიც გადამწვიმდა...
კვლავ **და-გ-ი-ქუდ-ე** კმაყოფილებით“ (გვ. 132).

ბუნებრივია, ყველა ნასახელარი ზმნის ფორმა ვერ დამკვიდრდება ენაში. თუმცა მათი გამოყენება ასპარეზს უქმნის ნეოლოგიზმთა წარმოქმნას. ზემოდასახელებულ ფორმათა დიდი ნაწილი არაორდინარული წარმოებისაა. ხშირად გვხვდება ფორმათა და სიტყვაწარმოების საშუალებათა არატიპური გამოყენების შემთხვევები: ა-ცათ-დ-ა, ა-მ-ი-ლავაშ-ა, შე-არღნები-ა, ა-მ-ცხედრ-დ-ება, ამო-ვ-ი-სვან-ო, ე-ოდისევს-ება, მი-ე-მტკვარ-ებ-ა, მედე-ობ-ს, მონა-ლიზ-ობ-ს, ამო-ი-ხვალ-ა, გადა-მ-ი-სტუმრ-ა, მი-ლამანჩელ-ობ, მი-ი-ნეპტუნ-ებ-ა.

ნაშრომში წარმოვაჩინეთ კრებულში გამოვლენილი სიტყვაწარმოებითი მოდელები, რითაც ვუპასუხეთ კითხვას – რას აძლევს ენა მწერალს.

საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული სიტყვაწარმოებითი მოდელები მკვიდრდება ენაში და მყარ ფორმულებად გვევლინება. შემოქმედის ამოცანაა გაითავისოს და გამოამზეუროს ენაში დაუნ-

ჯგუზული შესაძლებლობები და ხორცი შეასხას მას – ახლებურად გამოხატოს სათქმელი.

„ოკაზიონალიზმი (შემთხვევითი) – ნეოლოგიზმია, რომელიც არსებული დერივაციული თუ ფლექსიური სისტემისათვის გამო-ნაკლისია. ამგვარი წარმოებები შემოქმედთა ენისათვის არის დამა-ხასიათებელი და პოეტიკურ ან სხვა სტილისტიკურ დანიშნულებას ასრულებენ“ (ა. არაბული).

საინტერესო პოეტური ხატ-სახეებითაა დამშვენებული კრე-ბული „წაშლილი ღამე“. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სიტყვაქმნა-დობის გასაოცარი ნიმუშები:

„ბაშლილიყანი მაყრები –
მათრახიანად მთვრალეები“...
„ჭყინტადშემოჭმულ ყანებით
გაწბილებული წისქვილი“.
„ძალლიან აცეკვებული
ოჯახი – მოყვრის სტუმრობით“.
„კლდეთა ნეკნებში კნავის არაგვი,
იმხელა ეზოს იზომავს ძერა!..
აესარსალა შურთხს სარსარაკი
და შუაფხოსკენ წაილო ცერად!..“
„რა ამაოა ოსტატის რწმენა...
ვინ იყავ, ქვით რომ წერა-მწერლობდი,
ვით დადგი მთაზე მთად – ბედისწერა –
ამთავრებული ცისკენწეროთი?!“
„მერმე წამოდგნენ და ტაძრის შიშით
წაწყნარდნენ უხმოდ და უსახელოდ“.

პოეტური ხედვის რამდენიმე ნიმუშით მინდა გავამყარო კი-თხვა – რას აძლევს მწერალი ენას.

„ჩქერაქოჩრილი ბორგავს არაგვი –
ურჩ ქიჩირივით სისხლისამღები“.

„მთა გასაპარსად გამზადებულა:
გაუქაფია ნისლით ღაწვები;
ბუბა თეთნულდზე სხედან, ზეკურად,
ღრუბლები – მახვშის სახლიკაცები“.

„ღრუბლის ორწოხებს დაუძვრა მთვარე,
ვით სხვისი ხელით ჩაკრული – ჩვილი
და მეტაფორას თავად ამთავრებს
ცა – ბროწეულად გადახლეჩილი“.

„შეკვერცხისგულდა ცილიან ცაზე
მთვარე და, ალბათ, თავადა ხედავს:
თალხი ღრუბელი რომ დარდობს მთაზე –
შინმოუსვლელის საბრალო დედა“.

ამჯერად გვინდა შევაჯამოთ კვლევის შედეგები და შეძლებისდაგვარად ვუპასუხოთ კითხვას: რას აძლევს მწერალი ენას, ანუ როგორ და რით ამდიდრებს იგი ენას.

ნაშრომში წარმოჩენილია კრებულში გამოვლენილი სიტყვა-წარმოებითი მოდელები, რითაც თითქოს შეიძლება პასუხი გაეცეს ორსავე კითხვას: რას აძლევს ენა მწერალს და, პირიქით, რას აძლევს მწერალი ენას (ანუ, როგორ და რით ამდიდრებს იგი ენას).

განხილულ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლაშა გახარიას პოეტური მეტყველება საოცრად ექსპრესიულია, ფრაზა – სხარტი; ქართული სიტყვაწარმოებითი მოდელი განსაკუთრებით ხატოვანია და მოქმედების ელასტიკურობის გამომხატველი.

ლიტერატურა

არაბული 2013 – ა. არაბული, ენა ჩვენი არსობისა, თბილისი.

მუზაშვილი 1993 – ნ. მუზაშვილი, ნასახელარი ზმნები ძველ ქართულში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

ტუსკია 2004 – მ. ტუსკია, სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, III, თბილისი.

ჩიქობავა 1926 – არნ. ჩიქობავა, -ონ სუფიქსი მეგრულში, თსუ შრომები, VI, თბილისი.

ჭიკაძე 2008 – რ. ჭიკაძე, ზმნური სიტყვაწარმოება და ნასახე-ლარ ზმნათა სემანტიკური დიფერენციაცია მხატვრულ ტექსტში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXVII.

ჯანაშია 1959 – ს. ჯანაშია, მრავლობითი რიცხვის -თა/-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის, შრომები, ტ. III, თბილისი.

ჯორბენაძე 1975 – ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი.

ჯორბენაძე 1987 – ბ. ჯორბენაძე, ბალავარი მწერლობისა, თბილისი.

Manana Tuskia

The Georgian Formative Models in the Poetic Collection entitled “the Eliminated Night” by Lasha Gakharia

S u m m a r y

When studying the language and the stylistic peculiarities of a writer the following points should be taken into consideration:

1. What a language gives a writer and
2. What a writer gives a language or how a writer enriches a language (B. Jorbenadze).

The Georgian language has three models to form new lexical units:

1. To form nominal units out of nominals;
2. To form nominals out of verbs (masdar and participle);
3. To form verbs out of nominals (denominative verbs).

The paper represents the neologisms identified in the collection a huge part of which is noteworthy for its expressiveness, figurativeness, imaginativeness... Though in some cases there occur atypical means of expressing the formatives.

The reviewed and analyzed occasionalisms may not be established in the language but they give the valuable information about the aspiration of the poet's contemporary epoch.